თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 4

ქ. თელავი 2022 წლის 19 აპრილი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე თინათინ ხანჯალიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლევან ბერძენაშვილი, დავით ღაღანიძე, მიხეილ დაღუნდარიძე, ალექსანდრე შათირიშვილი, აბრაამ მახარიაშვილი, ნატალია ბახსოლიანი, გელა ესიტაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, რეგიონის განვითარების ცენტრი: სოფიო ჯაში, ნატალია ჯაში, ა (ა) იპ თელავის სატრანსპორტო სამსახურის უფროსი ივანე იორდანიშვილი, მოქალაქე არჩილ მჭედლიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

მომხს თ. ხანჯალიაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალებები) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

მომხს თ. ხანჯალიაშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოქალაქე ლევან ახალმოსულიშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს თ. ხანჯალიაშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოქალაქე გიორგი ოქროპირიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს თ. ხანჯალიაშვილი

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს „საქართველოს ფოსტისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს თ. ხანჯალიაშვილი

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „სასტუმრო თელავისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს თ. ხანჯალიაშვილი

მოისმინეს 1. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: **თინათინ ხანჯალიაშვილმა** აღნიშნა, რომ არ არის წარმოდგენილი განმარტება თუ როგორ დადგინდა მგზავრობის ტარიფი ერთი ლარის ოდენობით, რა ოდენობის არის სერვისის თვითღირებულება და რა ფინანსურ შედეგს მივიღებთ, თუმცა ზოგადად სხვა ქალაქების მუნიციპალური ტრანსპორტის არსებული ფასებიდან გამომდინარე შესაძლებელია დადგინდეს პროექტით შემოთავაზებული ტარიფი, 1 ლარი.

**ივანე იორდანიშვილმა** გამოთქვა მოსაზრება, რომ მუნიციპალური ტრანსპორტით ძირითადად სარგებლობს გაჭირვებული მოსახლეობა, ასევე არსებული მარშრუტების მიმართულებით გადაადგილდებიან ტაქსები ერთ ლარად და ისინი კონკურენციას გაუწევენ ავტობუსებს და ამიტომ, დადგენილი იქნას ტარიფი 80 თეთრის ოდენობით.

**დავით ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ მეტი კონკრეტიზაცია არის საჭირო 50% -იანი შეღავათით მოსარგებლე პირების მიმართ.

**ლევან ბერძენაშვილმა** დააყენა წინადადება, რომ ტარიფის ოდენობა განისაზღვროს კენჭისყრით. ჩატარებული კენჭისყრით კომისიის წევრების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა 80 თეთრიან ტარიფს.

**მიხეილ დაღუნდარიძემ** გამოთქვა მოსაზრება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

**მიხეილ დაღუნდარიძეს** მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე კომისიის მიერ შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

მოისმინეს 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალებები) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავზერიძემ აღნიშნა, რომ საპრივატიზაციო ნუსხაში შესატანმა ტრანსპორტმა ვერ გაიარა ტექდათვალიერება, ის სრულად ამორტიზირებულია და მათი აღდგენა დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან.

ლევან ბერძენაშვილმა დააყენა წინადადება საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

ლევან ბერძენაშვილის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალებები) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოქალაქე ლევან ახალმოსულიშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავზერიძემ აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას, რათა მოქალაქე ლევან ახალმოსულიშვილმა ისარგებლოს სასყიდლიანი იჯარის ფორმით უძრავი ქონებით ორი წლის ვადით.

ლევან ბერძენაშვილმა გამოთქვა მოსაზრება უძრავი ქონების აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე.

მიხეილ დალუნდარიძემ დააყენა წინადადება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოქალაქე ლევან ახალმოსულიშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის

ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

**მოისმინეს 4.** თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოქალაქე გიორგი ოქროპირიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

**აზრი გამოთქვეს:** **აბრაამ მახარიაშვილმა** აღნიშნა, რომ სოფელ ნაფარეულში გიორგი ოქროპირიძემ მოაწყო აფთიაქი, რომელიც არის სოფლის ცენტრში, მოსახლეობისთვის მისაღები ფასებია მედიკამენტებზე და მნიშვნელოვანია მისი შენარჩუნება; მან დააყენა წინადადება თანხმობის მიცემის თაობაზე.

**აბრაამ მახარიაშვილის** წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

**გადაწყვიტეს:** თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოქალაქე გიორგი ოქროპირიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

**მოისმინეს 5.** თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს „საქართველოს ფოსტისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** **გიორგი თავზერიძემ** აღნიშნა, რომ შ.პ.ს „საქართველოს ფოსტა" ჯიხურებში ახდენს თავისი პროდუქციის მიწოდებას, საიჯარო ქირა განსაზღვრულია წინა პერიოდთან შედარებით უფრო მაღალი ოდენობით.

**დავით ღაღანიძემ** გამოთქვა მოსაზრება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

**გადაწყვიტეს:** პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს „საქართველოს ფოსტისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

**მოისმინეს 6.** თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „სასტუმრო თელავისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

**აზრი გამოთქვეს:** **გიორგი თავბერიძემ** აღნიშნა, რომ არსებულ უძრავ ქონებაზე სასტუმრო მოაწყობს ავტომანქანების ელექტრო ენერგიით გაწყობის უფასო პუნქტს.

**ალექსანდრე შათირიშვილმა** დააყენა წინადადება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

**ალექსანდრე შათირიშვილის** წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

**გადაწყვიტეს:** პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „სასტუმრო თელავისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე: თ. ხან თინათინ ხანჯალიაშვილი